წერილის ნომერი: **18-01231983442**
თარიღი: **17/07/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N60-01231881372
წერილის თარიღი:	07 ივლისი, 2023
განმცხადებელი:	დავითი ჩიკვაიძე
განაცხადის N	AR1966540
მისამართი	ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი N118, დასახლება ზემო ალექსეევსკი, კახეთის გზატკეცილსა და სამგორის ქვემო მაგისტრალურ არხს შორის
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.19.16.003.409
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	მრავალ ადგილიანი ავტოსადგომი; II კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	ბორუსან მაქინა ვე გუჩ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს-ის საქართველოს წარმომადგენლობა“ (ს/ნ: 204907164)
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1)
არსებული შეზღუდვები	--------
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე გაცემული საექსპერტო დასკვნა მწვანე ნარგავების ფოტომასალა ტოპო. გეგმა საპროექტო შენობის განთავსების სქემით, მწვანე ნარგავების დატანით, საექსპერტო დასკვნის ნუმერაციის მიხედვით საპროექტო ტერიტორიის ამსახველი ფოტომასალა
დასკვნა: დადებითი	

საკითხის აღწერა

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის ეტაპზე სამსახურის პოზიციის დაფიქსირება მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 109-ე მუხლის მე-2 ნაწილი; საქართველოს კანონის „ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ მე-6 და მე-7 მუხლები; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ.ზ“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ი“, „კ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის დადგენილებით N11-58 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - ,,N11-58 დადგენილება“) დანართი N1-ის, 1-ლი, მე-2 მუხლები, 29-ე მუხლის მე-2, მე-5 პუნქტები, 30-ე მუხლის მე-4, მე--9 პუნქტები, 31-ე, 34-ე, 35-ე, **38-ე, 39-ე** მუხლები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია, 2017 წლის 24 ივლისის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსის ბრძანება ,,ხილ-კენკროვან სახეობათა ხე-მცენარეების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“.

სამსახურის პოზიცია:

ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვადგენთ, რომ ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება არ იგეგმება სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) - ის არეალში, ამასთან, სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას, განმცხადებელი არ ეხება მწვანე ნარგავებს (საპროექტო შენობასა და ხეებს შორის დაცულია მინიმალური დაშორების მანძილები), **სამსახური გასცემს დადებით რეკომენდაციას მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ, ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების (გარდა ხილ-კენკროვანი ნარგავებისა) შენარჩუნების პირობით.**

პროექტის შეთანხმების ეტაპზე გასათვალისწინებელი წინაპირობები

დადგენილების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე, II, III და IV კლასის შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს უნდა წარედგინოს ტერიტორიაზე კ-3 კოეფიციენტის ათვისების გამწვანების პროექტი, რომელიც სხვა მონაცემებთან ერთად აუცილებლად უნდა მოიცავდეს ამ დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას, აგრეთვე „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ, ფოტომონტაჟის სახით ვიზუალურად გამოსახულ გამწვანების პროექტს **(გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, ასევე იმ შენობა/ნაგებობების არქიტექტურული პროექტებისა, რომელთა შეთანხმება მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის იმ ფუნქციურ ზონაში, რომელშიც კ-3 კოეფიციენტი არ არის განსაზღვრული ან ხდება შენობა/ნაგებობის რეკონსტრუქცია)**.

გამწვანების პროექტში განმცხადებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი გარემოებები: შერეული, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების სავალდებულო წინაპირობაა; სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის შეთანხმების ეტაპზე, გამწვანების პროექტის ფარგლებში, ერთი სახეობის მწვანე ნარგავების ნაცვლად, ტერიტორია გამწვანდეს შერეული ტიპის, როგორც წიწვოვანი ისე ფოთლოვანი ნარგავებით.

სამსახური უპირატესობას ანიჭებს მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, დიდი ვარჯის მქონე ხეების დარგვას ბუჩქებთან და ყვავილებთან მიმართებით.

დასარგავი მცენარის სახეობა უნდა შეირჩეს პრიორიტეტული ხეების სიიდან **(გარდა, კვიპაროსის, ვერხვისა და ხილ-კენკროვანი მცენარეებისა).**

ხის ნერგი გამოზრდილი უნდა იყოს სანერგეში, სწორი ფორმის მქონე მთავარი ღეროთი. მარადმწვანე ხეები (როგორც წიწვოვანი ასევე, ფოთლოვანი) დაფესვიანებული შესაბამისი ზომის კონტეინერში არანაკლებ 65 ლიტრი (CLT).
წიწვოვანი ნარგავების დარგვის შემთხვევაში (გარდა იტალიური ფიჭვისა, მასზე ვრცელდება ფოთლოვანი ხეების პარამეტრები), ნერგის სიმაღლე არანაკლებ 3 მ; მთავარი ღერო უნდა იყოს სწორი

ფორმის; ღეროს გარშემოწერილობა (CIRC) არანაკლებ 0,16 მ., ფესვის ყელიდან 0,1 მ. სიმაღლეზე; ვარჯის დიამეტრი არანაკლებ 0,7 მ.; ვარჯი უნდა იყოს ყველა მხრიდან სიმეტრიულად განვითარებული; ქოთანში დაფესვიანებული; მისი განტოტვა უნდა იწყებოდეს ფესვის ყელიდან არაუმეტეს 0,25 მ. სიმაღლეზე.
ფოთლოვანი ნარგავების დარგვის შემთხვევაში, ნერგის სიმაღლე 3.5 მ.; მთავარი ღერო უნდა იყოს სწორი ფორმის; ღეროს გარშემოწერილობა (CIRC) არანაკლებ 0,18 მ. ფესვის ყელიდან 1 მ. სიმაღლეზე; ვარჯის დიამეტრი არანაკლებ 0,7 მ.; მისი განტოტვა უნდა იწყებოდეს მცენარის ფესვის ყელიდან არანაკლებ 1,8 მ. სიმაღლეზე; ვარჯი უნდა იყოს ყველა მხრიდან სიმეტრიულად განვითარებული.

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია
კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული ასომვითი ნახაზი



შენიშვნა: ტოპოგრაფიულ ნახაზზე ხაზოვანი ნაგებობები დატანილია რეგისტრებული მონაცემებიდან

პირობითი აღნიშვნები	შენიშვნა: მიწის სამუშაოები შეათანხმეთ შესაბამის კომუნიკაციის წარმომადგენლებთან				პროექცია UTM 38N საკოორდინატო სისტემა WGS 84	შპს„ორიონი" Ltd"orion"
მიწისქვეშა კომუნიკაციები	ნაკვეთის საზღვარი	ბუჩქი	ცოცხალი ღობე	ღობე		ქ. თბილისი, მტკვრის ქუჩა №4
კანალიზაცია	შენობა	გაზონი	ხეების რიგი	ბორდიური		მობ: +995 557-51-51-15
დენის კაბელი	არკა	სამეთვალყურეო ჭები	ტრანსფორმატორი	ბეტონი		orionimirza@gmail.com
გაზის მილი	ფარდული	ძეგლი	რადიო ან ტელე ანძა	კედელი		
წყლის მილი	კიბე	შადრევანი	ლამპიონები	საყრდენი კედელი		
კავშირგაბმულობა	ფოთლოვანი ხე	ონკანი	ელექტრო ბოძი	ბილიკი		
	წიწვოვანი ხე	წყარო ან ჭა	რკინიგზა	გზის კონტური		
	ხეხილის ხე	ბენზინგასამართი სადგური	იზოჰიფსი	ფლატე		
	პალმა	მაღალი ძაბვის გადამცემი	მთავარი იზოჰიფსი	წყლის კონტური		

დირექტორი		მ. ცინცაძე
კომპ. უზრუნველყოფა		ზ. ცინცაძე
მისამართი		
ქ. თბილისი, გზატკეცილი კახეთი №118; ქ. თბილისი, დასახლება ზემო ალექსეევკა, კახეთის გზატკეცილსა და სამგორის ქვემო მაგისტრალურ არხს შორის, ს/კ.ქ. თბილისი		
A-3	მაშტაბი 1:500	12.06.2022

დოკ. №: 2307-131

თარიღი: 05.07.2023

DEMASO WOOD 1

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასება და საექსპერტო დასკვნა

ტერიტორიის მისამართი	*ს/კ*	*მესაკუთრე*	*ფართობი*
თბილისი, გზატკეცილი კახეთი, N118; დასახლება ზემო ალექსეევსკი, კახეთის გზატკეცილსა და სამგორის ქვემო მაგისტრალურ არხს შორის	*01.19.16.003.409*	*“ბორუსან მაქინა ვე გუჩ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს-ის საქართველოს წარმომადგენლობა”*	*7362 მ²*

შეფასებული მცენარეები: ***71***

დოკუმენტის შემადგენლობა

შესავალი	*1*
ტერიტორიის აღწერა	*1*
ჩატარებული სამუშაო	*1*
რაოდენობები და ნომრები სახეობების მიხედვით	*1*
დასკვნა	*2*

დანართი 1. მერქნიან მცენარეთა შეფასების უწყისი

დანართი 2. ფოტოდოკუმენტაცია

შემსრულებელი:

შპს დემასო ვუდ 1 (400331716)

დირექტორი: ***ემზარ შარია***

demasowood@gmail.com

(+995) 593 18 18 70



შესავალი

დოკუმენტში ასახულია ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილის N118 მისამართზე რეგისტრირებულ, ს/კ 01.19.16.003.409 მიწის ნაკვეთზე არსებულ მერქნიან მცენარეთა ხარისხობრივი შეფასების შედეგები.

იგი მომზადებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 11.06.2022 №11-58 დადგენილებისა და საქართველოს 01.12.2000 №594 კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

დოკუმენტს დანართებად ახლავს მცენარეთა შეფასების უწყისი და ფოტოსურათები.

ტერიტორიის აღწერა

მიწის ნაკვეთს გააჩნია არასასოფლო სამეურნეო დანიშნულება და წარმოადგენს კერძო საკუთრებას. მისი ფართობია 7362 მ^2.

თბილისის ფუნქციური ზონირების მიხედვით, ნაკვეთი მდებარეობს საზოგადოებრივ საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2), რომლის მცირე ნაწილსაც, ასევე ფარავს ზონა - გამწვანებული ტერიტორიები - არსებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1).

ჩატარებული სამუშაო

2023 წლის 1 ივლისს, ვიზუალური დათვალიერების გზით ჩატარდა ს/კ 01.19.16.003.409 მიწის ნაკვეთზე არსებული მერქნიანი მცენარეების შეფასება. კერძოდ, თითოეულ შესაფასებელ მცენარეს მიენიჭა ინდივიდუალური ნომერი, აღებულ იქნა მისი სატაქსაციო მონაცემები, აღიწერა მდგომარეობა, შეფასდა გადარგვა-გახარების შესაძლებლობა, მოხდა თითოეულის დასურათება.

მცენარეთა აღწერის საბაზისო მონაცემები ასახულია მცენარეთა შეფასების უწყისში (იხ. დანართი 1). მათთვის მინიჭებული ნომრები მოცემულია წინამდებარე დოკუმენტთან ერთად მერიაში წარსადგენ ტოპოგეგმაზე, მცენარეთა შეფასების უწყისში და ასევე დაწერილი არის თვითონ მცენარეთა ქერქზე.

წინამდებარე დოკუმენტში, „მცენარის დიამეტრში“ იგულისხმება მიწიდან დაახლოებით 10 სმ სიმაღლეზე გაზომილი მცენარის ღეროს დიამეტრი.

რაოდენობები და ნომრები სახეობების მიხედვით

აღწერილი 71 მერქნიანი მცენარე სახეობათა ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

- **44 ინდივიდი – ხილკენკროვანი სახეობები**
  44 ჯანსაღი ხილკენკროვნიდან, ყველა არის 12 სმ-ზე ნაკლები დიამეტრის. სულ ხილკენკროვნები:
  - 1 კომში (Cydonia oblonga) N 26
  - 1 მუშმალა (Eriobotrya japonica) N 10
  - 2 ფეიხოა (Feijoa sellowiana) NN 11, 12
  - 1 ლეღვი (Ficus carica) N 50
  - 5 ვაშლი (Malus domestica) NN 14, 20, 25, 31, 39
  - 2 ბალი (Prunus avium) NN 35, 43
  - 2 ტყემალი (Prunus cerasifera) NN 37, 44
  - 10 ალუბალი (Prunus cerasus) NN 17, 22, 27, 46, 51, 52, 53, 56, 58, 59
  - 7 ქლიავი (Prunus domestica) NN 16, 21, 29, 38, 40, 54, 55
  - 3 ატამი (Prunus persica) NN 19, 41, 45
  - 1 ბროწეული (Punica granatum) N 47
  - 9 ვაზი (Vitis vinifera) NN 15, 18, 24, 28, 33, 34, 42, 48, 49
- **3 ინდივიდი – ხვიარა სახეობები**
  - 3 გლიცინია (Wisteria) NN 13, 23, 30
- **20 ინდივიდი – ბუჩქოვანი სახეობები**
  - 1 იაპონური აუკუბა (Aucuba japonica) N 60
  - 1 იაპონური კამელია (Camellia japonica) N 5
  - 2 ჟასმინის გარდენია (Gardenia jasminoides) NN 8, 61
  - 2 ოლეანდრი (Nerium oleander) NN 3, 4
  - 1 ჩიტავაშლა (Pyracantha) N 1

- 8 ვარდი (Rosa) NN 9, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68
- 1 ესპანური კურდღლისცოცხა (Spartium junceum) N 6
- 1 იასამანი (Syringa) N 7
- 1 ტუია (Thuja) N 2
- 2 იუკა (Yucca) NN 69, 70

- **1 ინდივიდი – მაღალი ღირებულების ჯგუფის ფოთლოვანი**
  - 1 კაკლის ხე (Juglans regia) N 57
- **3 ინდივიდი – მაღალი ღირებულების ჯგუფის წიწვოვანი**
  - 3 ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica) NN 32, 36, 71

მათ შორის, **1 ძირი წარმოადგენს საქართველოს წითელი ნუსხით დაცულ სახეობას:**
- 1 კაკლის ხე (Juglans regia) N 57

დასკვნა

ქვემოთ, პუნქტებად მოცემულია 2023 წლის 1 ივლისს, ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილის N118 მისამართზე რეგისტრირებულ, ს/კ 01.19.16.003.409 მიწის ნაკვეთზე, 71 მერქნიანი მცენარის ხარისხობრივი შეფასების შემაჯამებელი მონაცემები.

1. რაოდენობები სახეობათა ჯგუფებისა და მცენარეთა მდგომარეობის მიხედვით. შეფასებული 71 მერქნიანი მცენარიდან ყველა არის ჯანსაღი. მათ შორის:
- 44 ხილკენკროვანი (ყველა ჯანსაღი)
- 3 ხვიარა სახეობათა წარმომადგენელი (ყველა ჯანსაღი)
- 20 ბუჩქოვან სახეობათა წარმომადგენელი (ყველა ჯანსაღი)
- 1 მაღალი ღირებულების ფოთლოვანი (ჯანსაღი)
- 3 მაღალი ღირებულების წიწვოვანი (ყველა ჯანსაღი)

2. საქართველოს წითელი ნუსხით დაცულ მცენარეთა სახეობები, რაოდენობები, ნომრები. აღიწერა საქართველოს წითელი ნუსხით დაცული 1 მცენარე, კერძოდ:
- 1 კაკლის ხე (Juglans regia) N 57

3. გადარგვადი მცენარეები. გადარგვის შესაძლებლობის განსაზღვრისას, მხედველობაში მიიღება შემდეგი პირობები: მცენარე უნდა იყოს ჯანსაღი და კარგად განვითარებული, არ იყოს წვერხმელი, არ გააჩნდეს გულის სიდამპლე ან დაავადება, ვარჯში ხმელი ტოტების რაოდენობა არ აღემატებოდეს 15 %-ს, არ იყოს გადაბერებული/ამორტიზებული. თუ ასეთი ხეების გადარგვა მოხდება წლის არასავეგეტაციო პერიოდში, გადარგვისა და შემდგომი მოვლის სათანადო მეთოდოლოგიის მკაცრი დაცვით და თუ ადგილი არ ექნება მათზე ძლიერ მექანიკურ ან ხელოვნურ ფიზიკურ-ქიმიურ ზემოქმედებას, მაშინ მათი გადარგვის შემდგომი გახარების ალბათობა იქნება ფაქტიურად ისეთივე, როგორიც იქნებოდა მათი ადგილზე შენარჩუნების შემთხვევაში.

შეფასების შედეგად დადგინდა, რომ, ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმებით, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო მეთოდიკის გამოყენებით, არახილკენკროვანი სახეობებიდან გადარგვას შეიძლება დაექვემდებაროს 24 შეფასებული მცენარე - 1-9, 13, 23, 30, 57, 60-70. მათი დიამეტრი არის 25 სმ-ზე ნაკლები.

მეტი დეტალისთვის იხილეთ:
- დანართი 1. მერქნიან მცენარეთა შეფასების უწყისი;
- დანართი 2. ფოტოდოკუმენტაცია;
- დამკვეთის მიერ თბილისის მიერიაში ამ დასკვნასთან ერთად წარდგენილი ტოპო-გეგმა.

ექსპერტი:  ლევან გოშაძე (01008013049)

№2307-131 საექსპერტო დასკვნის

დანართი 1. მერქნიან მცენარეთა შეფასების უწყისი - ნაკვ. 01.19.16.003.409

მისამართი:	თბილისი, გზატკეცილი კახეთი, N118; დასახლება ზემო ალექსეევსკი, კახეთის გზატკეცილსა და სამგორის ქვემო მაგისტრალურ არხს შორის
საკადასტრო კოდი:	01.19.16.003.409
ფართობი:	7362 მ^2
მესაკუთრე:	ბორუსან მაქინა ვე გუჩ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს-ის საქართველოს წარმომადგენლობა (ID № 204907164)
შეფასების მეთოდი:	ვიზუალური
შეფასების თარიღი:	01.07.2023
შემსრულებელი:	ლ. გოშაძე, ე. შარია

№	მცენარის დასახელება	დიამეტრი (სმ) მიწიდან:		სიმაღლე (მ)	აღწერა
		10 სმ	1.3 მ		
1	ჩიტავაშლა (Pyracantha)	4.8	2.2	2.0	საღი/ გადარგვადი*
2	ტუია (Thuja)	5.4	2.9	2.0	საღი/ გადარგვადი*
3	ოლეანდრი (Nerium oleander)	0-4		1.0	საღი/ გადარგვადი*
4	ოლეანდრი (Nerium oleander)	0-4		1.0	საღი/ გადარგვადი*
5	იაპონური კამელია (Camellia japonica)	0-4		0.5	საღი/ გადარგვადი*
6	კურდღლისცოცხა (Spartium junceum)	4-8		2.0	საღი/ გადარგვადი*
7	იასამანი (Syringa)	2.2	1.0	1.5	საღი/ გადარგვადი*
8	ჟასმინის გარდენია (Gardenia jasminoides)	0-4		1.5	საღი/ გადარგვადი*
9	ვარდი (Rosa)	0-4		2.0	საღი/ გადარგვადი*
10	მუშმალა (Eriobotrya japonica)	6.4	3.2	2.0	საღი/ ხილკენკრ.
11	ფეიხოა (Feijoa sellowiana)	1.6	1.0	1.5	საღი/ ხილკენკრ.
12	ფეიხოა (Feijoa sellowiana)	3.2	1.0	1.5	საღი/ ხილკენკრ.
13	გლიცინია (Wisteria)	3.8			საღი/ გადარგვადი*
14	ვაშლი (Malus domestica)	2.2	1.6	2.0	საღი/ ხილკენკრ.
15	ვაზი (Vitis vinifera)	2.2			საღი/ ხილკენკრ.
16	ქლიავი (Prunus domestica)	3.2	1.0	2.0	საღი/ ხილკენკრ.
17	ალუბალი (Prunus cerasus)	5.4	3.2	2.5	საღი/ ხილკენკრ.
18	ვაზი (Vitis vinifera)	2.2			საღი/ ხილკენკრ.
19	ატამი (Prunus persica)	2.2	1.0	1.5	საღი/ ხილკენკრ.
20	ვაშლი (Malus domestica)	2.9	1.6	2.5	საღი/ ხილკენკრ.
21	ქლიავი (Prunus domestica)	3.2	2.2	2.5	საღი/ ხილკენკრ.
22	ალუბალი (Prunus cerasus)	3.5	1.6	2.5	საღი/ ხილკენკრ.
23	გლიცინია (Wisteria)	3.2			საღი/ გადარგვადი*
24	ვაზი (Vitis vinifera)	3.8			საღი/ ხილკენკრ.
25	ვაშლი (Malus domestica)	2.2	1.6	2.0	საღი/ ხილკენკრ.
26	კომში (Cydonia oblonga)	2.9	1.6	2.0	საღი/ ხილკენკრ.
27	ალუბალი (Prunus cerasus)	6.4	3.2	2.5	საღი/ ხილკენკრ.
28	ვაზი (Vitis vinifera)	4-8			საღი/ ხილკენკრ.
29	ქლიავი (Prunus domestica)	3.8	1.6	2.5	საღი/ ხილკენკრ.
30	გლიცინია (Wisteria)	2.2			საღი/ გადარგვადი*
31	ვაშლი (Malus domestica)	1.6	1.0	1.5	საღი/ ხილკენკრ.
32	ფიჭვი (Pinus eldarica)	28	25.5	6.5	საღი
33	ვაზი (Vitis vinifera)	7.0			საღი/ ხილკენკრ.
34	ვაზი (Vitis vinifera)	1.6			საღი/ ხილკენკრ.
35	ბალი (Prunus avium)	2.2	1.0	2.0	საღი/ ხილკენკრ.
36	ფიჭვი (Pinus eldarica)	32	27	6.5	საღი
37	ტყემალი (Prunus cerasifera)	2.2	1.0	2.0	საღი/ ხილკენკრ.
38	ქლიავი (Prunus domestica)	7.6	5.4	3.5	საღი/ ხილკენკრ.
39	ვაშლი (Malus domestica)	3.2	1.6	3.0	საღი/ ხილკენკრ.
40	ქლიავი (Prunus domestica)	7.0	4.8	3.5	საღი/ ხილკენკრ.
41	ატამი (Prunus persica)	2.2	1.0	2.0	საღი/ ხილკენკრ.

42	ვაზი (Vitis vinifera)	3.8			საღი/ ხილკენკრ.
43	ბალი (Prunus avium)	3.8	2.2	3.0	საღი/ ხილკენკრ.
44	ტყემალი (Prunus cerasifera)	2.2	1.0	3.0	საღი/ ხილკენკრ.
45	ატამი (Prunus persica)	3.2	1.0	2.0	საღი/ ხილკენკრ.
46	ალუბალი (Prunus cerasus)	8.0	4.8	3.5	საღი/ ხილკენკრ.
47	ბროწეული (Punica granatum)	0-4		2.5	საღი/ ხილკენკრ.
48	ვაზი (Vitis vinifera)	1.0			საღი/ ხილკენკრ.
49	ვაზი (Vitis vinifera)	1.6			საღი/ ხილკენკრ.
50	ლეღვი (Ficus carica)	4-8		2.0	საღი/ ხილკენკრ.
51	ალუბალი (Prunus cerasus)	0-4		2.0	საღი/ ხილკენკრ.
52	ალუბალი (Prunus cerasus)	7.0	3.8	3.5	საღი/ ხილკენკრ.
53	ალუბალი (Prunus cerasus)	0-4		2.0	საღი/ ხილკენკრ.
54	ქლიავი (Prunus domestica)	4.8	1.6	2.0	საღი/ ხილკენკრ.
55	ქლიავი (Prunus domestica)	4.1	1.6	1.5	საღი/ ხილკენკრ.
56	ალუბალი (Prunus cerasus)	3.2	1.0	1.5	საღი/ ხილკენკრ.
57	კაკლის ხე (Juglans regia)	9.6	6.4	3.0	საღი/ წით. ნუსხა/ გადარგვადი*
58	ალუბალი (Prunus cerasus)	2.2	1.0	1.5	საღი/ ხილკენკრ.
59	ალუბალი (Prunus cerasus)	2.5	1.0	1.5	საღი/ ხილკენკრ.
60	აუკუბა (Aucuba japonica)	0-4		1.5	საღი/ გადარგვადი*
61	ჟასმინის გარდენია (Gardenia jasminoides)	0-4		0.5	საღი/ გადარგვადი*
62	ვარდი (Rosa)	0-4		1.5	საღი/ გადარგვადი*
63	ვარდი (Rosa)	0-4		1.0	საღი/ გადარგვადი*
64	ვარდი (Rosa)	5.4	2.2	2.0	საღი/ გადარგვადი*
65	ვარდი (Rosa)	4.5	2.2	1.5	საღი/ გადარგვადი*
66	ვარდი (Rosa)	5.1	2.2	1.5	საღი/ გადარგვადი*
67	ვარდი (Rosa)	7.3	2.2	2.0	საღი/ გადარგვადი*
68	ვარდი (Rosa)	6.4	2.2	1.5	საღი/ გადარგვადი*
69	იუკა (Yucca)	7.0		0.5	საღი/ გადარგვადი*
70	იუკა (Yucca)	7.0		0.5	საღი/ გადარგვადი*
71	ფიჭვი (Pinus eldarica)	30	25.5	7.0	საღი

*** გადარგვის შესაძლებლობის განსაზღვრისას, მხედველობაში მიიღება შემდეგი პირობები: მცენარე უნდა იყოს ჯანსაღი და კარგად განვითარებული, არ იყოს წვერხმელი, არ გააჩნდეს გულის სიდამპლე ან დაავადება, ვარჯში ხმელი ტოტების რაოდენობა არ აღემატებოდეს 15 %-ს, არ იყოს გადაბერებული/ამორტიზებული. თუ ასეთი ხეების გადარგვა მოხდება წლის არასავეგეტაციო პერიოდში, გადარგვისა და შემდგომი მოვლის სათანადო მეთოდოლოგიის მკაცრი დაცვით და თუ ადგილი არ ექნება მათზე ძლიერ მექანიკურ ან ხელოვნურ ფიზიკურ-ქიმიურ ზემოქმედებას, მაშინ მათი გადარგვის შემდგომი გახარების ალბათობა იქნება ფაქტიურად ისეთივე, როგორიც იქნებოდა მათი ადგილზე შენარჩუნების შემთხვევაში.**

ლევან გოშაძე *ექსპერტი;* ემზარ შარია *დირექტორი, შპს დემასო ვუდ 1*



№1



№2



№3



№4



№5



№6



№7



№8



№9



№10



№11



№12



№13



№14



№15



№16



№17



№18



№19



№20



№21



№22



№23



№24



№25



№26



№27



№28



№29



№30



№31



№32



№33



№34



№35



№36



№37



№38



№39



№40



№41



№42



№43



№44



№45



№46



№47



№48



№49



№50



№51



№52



№53



№54



№55



№56



№57



№58



№59



№60



№61



№62



№63



№64



№65



№66



№67


VISITOR PARKING
STAFF PARKING
პარკინგი თანამშრომლებისთვის

№68



№69



№70



№71